საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაზონი

იაზონი, იასონი (ძვ. ბერძნ. Ιασων ეტრუსკ. Easum), ბერძნული მითოლოგიის გმირი, იოლკუსის მეფის, ესონის ვაჟი. ესონმა შვილი აღსაზრდელად ბერძენ კენტავრ ქირონს მიაბარა. ამ უკანასკნელს ბავშვისთვის იასონი („განმკურნებელი") დაურქმევია.

ჭაბუკობაში შესულმა ი-მა პელიას კანონიერი სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა, რის სანაცვლოდ ურთულესი დავალების აღსრულება – კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოპოვება დაეკისრა. ამისათვის მან ქალღმერთ ათენას დახმარებით ხომალდი „არგო" ააგო, ილაშქრა კოლხეთში და იქიდან ოქროს საწმისით დაბრუნდა (იხ. *არგონავტების თქმულება*).